



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 117

2018 წ. "12" 09

ქ. თბილისი

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3² პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლისა და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 30 აგვისტოდან.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №39 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

მდივანი

სოფიკო ლობჯანიძე